ხელშეკრულება 73/2016-Ჰსს

ქ. თბილისი

9 დეკემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „ჩემი ოფისი“** (ს/კ: 401997112) (შემდგომში **„შემსრულებელი“**) ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ დავითაშვილის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო** (ს/კ: 204555702) (შემდგომში **„შემკვეთი“**), ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ელდარ შენგელაიას სახით, მხარეთა ორმხრივი ნების გამოხატვის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს შემკვეთს საოფისე ტექნიკის (პრინტერების) სერვისი შეკეთების მომსახურება, მიაწოდოს სახარჯი მასალები, კერძოდ, კარტრიჯები CPV 30125100 (შემდგომში **„პროდუქცია/მომსახურება“**), ხოლო შემკვეთი ვალდებულია მიიღოს პროდუქცია/მომსახურება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადაუხადოს შემსრულებელს მისი ღირებულება.

1.2. პროდუქციის/მომსახურების დასახელება, მოცულობა და განფასება განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი N 1-ით, რომელიც განუყოფელი ნაწილის სახით დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელსეკრულების ღირებულება შეადგენს 1505 (ერთიათასხუთასხუთი) ლარს.

1.3. შემკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის მიწოდებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

1.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის/მომსახურების მიწოდება წარმოებს შემკვეთის შემდეგ მისამართებზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4;**

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შესრულების პირობები

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და **მოქმედებს 2016 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.**

2.2. შემკვეთისთვის პროდუქციის/მომსახურების მიწოდება დასტურდება ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე: მიღება-ჩაბარების აქტი ან/და სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშ-ფაქტურა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით პროდუქციის/მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველი შეკვეთა-განაცხადის შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების შესაბამისად შედგენილი სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

3.2. შემკვეთის მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1. შემკვეთის უფლება – მოვალეობები:

4.1.1. შემკვეთი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დანართი N1-ის შესაბამისად, ნებისმიერ დროს წინასწარ მიაწოდოს შემსრულებელს ზეპირი/წერილობითი შეკვეთა-განაცხადი პროდუქციის ან/და მომსახურეობის სახეობის, რაოდენობის მითითებით და მოითხოვოს მათი მიწოდება.

4.1.2. შემკვეთი უფლებამოსილია შეამოწმოს შემსრულებლის მიერ მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.1.3. შეკვეთის დაკომპლექტების შემდეგ შემკვეთი უფლებამოსილია პროდუქციის/მომსახურების მიღების ადგილზე შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად შეამოწმოს მოწოდებული პროდუქციის/მომსახურეობის ხარისხი, რაოდენობა, ვარგისიანობა და მიიღოს სასაქონლო ზედნადების შესაბამისად.

4.1.4 შემკვეთი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ნებისმიერ დროს, ყოველგვარი საჯარიმო სანქციების გარეშე ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

4.1.5. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული პროდუქციის/მომსახურეობის ღირებულება.

4.1.6. შემკვეთი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმოს შემსრულებელს პროდუქციის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრები. ტექნიკური პარამეტრების შეცვლის შემთხვევაში შემკვეთი ვალდებულია აცნობოს შემსრულებელს წინასწარ პროდუქციის/მომსახურების მიწოდებამდე.

4.1.7. შემკვეთი ვალდებულია სრულად და დროულად მიაწოდოს შემსრულებელს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება შემსრულებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

4.1.8. შემკვეთი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულება.

4.2. შემსრულებლის უფლება - მოვალეობები:

4.2.1. შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთისაგან შეკვეთა-განაცხადის მიღებისთანავე დროულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შემკვეთი მოთხოვნილი პროდუქციით/ მომსახურეობით, შეკვეთა-განაცხადში მითითებული სახეობის, რაოდენობის ზუსტი გათვალისწინებით.

4.2.2. შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთის მიერ შეკვეთა-განაცხადის წარდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში** უზრუნველყოს შემკვეთი მოთხოვნილი პროდუქციით/მომსახურებით.

4.2.3. შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო პროდუქცია/მომსახურება. ნივთობრივად უნაკლოობაში მხარეები გულისხმობენ ისეთ პროდუქციას/მომსახურებას რომელიც ვარგისია იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის, შეესაბამება შემკვეთის მოთხოვნებს, ხოლო უფლებრივად უნაკლო პროდუქციაში/მომსახურებაში მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მოწოდებული პროდუქცია/მომსახურება არ წარმოადგენს მესამე პირის (პირების) მოთხოვნის საგანს და არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები, ან დააკისროს რაიმე სახის ვალდებულებები მოწოდებული პროდუქციის/მომსახურების გამო.

4.2.4. მხარეთა მიერ პროდუქციის/მომსახურეობის მიღება-ჩაბარებისას წარმოქმნილი დანაკლისის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დროულად შეავსოს დანაკლისი ან/და გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო პროდუქციის არავარგისიანობის შემთხვევაში შეცვალოს ან დაიბრუნოს უვარგისი პროდუქცია.

4.2.5. შემსრულებელი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების ხარისხზე და პროდუქციის/მომსახურების უხარისხობით გამოწვეულ ყველა უარყოფით შედეგებზე.

4.2.5. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის/ მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.2.6. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა, გარანტიები და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

5.1. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს, მეორე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2 % -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. შემკვეთის მხრიდან პროდუქციის/მომსახურების ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის/მომსახურების მიწოდება დავალიანების სრულ დაფარვამდე.

5.4. მხარეები დროებით თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოთ ხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით.

5.5. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან კავშირში და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

5.6. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

5.7. ფორს-მაჟორული ვითარების გასვლის შემდეგ მხარეებმა უნდა შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

6.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

6.1.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით;

6.1.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წინასწარ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი გაფრთხილების გზით;

6.2. შემკვეთის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში იგი იღებს ვალდებულებას სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების მოშლამდე მის მიერ მიწოდებული პროდუქციის/მომსახურების ღირებულება.

მუხლი 7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთ შეთანხმების გზით, თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილი ნებისმიერი წინადადების ან შეტყობინების მოქმედების ვადა იწყება მეორე მხარის მიერ მისი მიღების დღიდან, რაც უნდა დადასტურდება შესაბამისი ხელმოწერით.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო ორი - შემკვეთს.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემკვეთი" **საქართველოს პარლამენტთან არსებული** **ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო**	**„შემსრულებელი"** **შპს „ჩემი ოფისი"**
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4 საიდენ. კოდი: 204555702; საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი	საიდენტიფიკაციო კოდი: 401997112; მისამართი: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8 მომსახურე ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი" ბ/ კოდი; TBCBGE22 ა/ა GE58TB7539736080100001;
საბჭოს თავმჯდომარე: ე. შენგელაია	დირექტორი: თეიმურაზ დავითაშვილი